გადაწყვეტილება:**g63. 63240182**
თარიღი:**18/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 27-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,გ'' ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განიხილა **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო** გეგმის დამტკიცების საკითხი და

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო** გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1), ერთი თვის ვადაში.

დანართი N1

1. 2024 წლის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი).

2.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (თებერვალი).

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის 2024 წლის გამოყოფილი თანხის განსახორციელებელი პროექტების განხილვა (მარტი).

4.სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (აპრილი-მაისი).

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კვარტალური შესრულების ანგარიშის მოსმენა (აპრილი, ივლისი, ოქტომბერი, დეკემბერი).

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ, ინფორმაციის მოსმენა (მაისი).

8. ინფორმაციის მოსმენა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ (მაისი-სექტემბერი).

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 6 (ექვსი) თვის ბიუჯეტის მოსმენა და შესაბამისი დასკვნის მომზადება (ივლისი).

10.სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ 2024 წელს განხორციელებული ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ, ინფორმაციების მოსმენა (ივლისი, ნოემბერი).

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 (ცხრა) თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა (ოქტომბერი).

12. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში).

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის განხილვა (წლის განმავლობაში).

14. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლის შესახებ, ინფორმაციის მოსმენა (ოქტომბერი).

15. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, ნოემბერი).

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი).

17. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება (დეკემბერი).

18. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის განხილვა (დეკემბერი).

3. **გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.**

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი